

(№21 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2012 წლის 18 იანვრის სხდომის  
ოქმი №21

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან, ესწრებოდა 24. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება;

**რექტორი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურაზე ვასახელებ ქალბატონ ქეთევან ქოქრაშვილის კანდიდატურას.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი კანდიდატურა კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

**ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №21 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

*საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.*

**სპიკერი:** გილოცავთ, ქალბატონო ქეთევან ამ თანამდებობას, გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** დიდ მადლობას მოგახსენებთ ნდობის გამოცხადებისა და თანადგომისთვის.

**სპიკერი:** ქალბატონო ქეთევან, ჩვენ წინა სხდომაზე ბიუჯეტი განვიხილეთ, გვანტერესებს ხელმეორედ საჭიროებს თუ არა იგი დამტკიცებსა?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ბიუჯეტში ციფრობრივი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი კიდევ უფრო სრულყოფილი სახით წარედგინება რეგენტთა საბჭოს.

ერთი საკითხი, რომელიც მინდა წარმოგიდგინოთ, გახლავთ ტექნიკური უნივერსიტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილება, რომელიც შეთანხმებულია რექტორთან და ფაკულტეტების დეკანებთან. იგი ეხება მხოლოდ აკადემიურ თანამდებობებზე მყოფ თანამშრომლებს. და გამოწვეულია პროგრამების ცვლილებით, გეტყვით, რომ ყოველივე ეს ბიუჯეტში სახელფასო ფონდის ზრდას არ იწვევს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** რამდენი წლით ხდება აკადემიური პერსონალის არჩევა?

**რექტორი:** აკადემიურ პერსონალს, სტანდარტულად, ისევე ოთხი წლის ვადის ვირჩევთ.

**წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №21 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, ცვლილება ეხება ფაკულტეტების აკადემიურ თანამდებობათა რაოდენობას.*

ფაკულტეტი	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	შენიშვნა
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	11	1		
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	3	1		
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის	4			
ბიზნეს ინჟინერინგის	6	17	16	
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	9			
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის	2	1		

სპიკერი: ქალბატონ ქეთევანს აქვს კიდევ ერთი საკითხი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო საკითხს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ:

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდეს და საშტატო ერთეულები განისაზღვროს:

1.1. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 394 830 ლარი, საშტატო ერთეული – 175, წლიური სახელფასო ფონდი – 360 120 ლარი;

1.2. ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 163 170 ლარი, საშტატო ერთეული – 62, წლიური სახელფასო ფონდი – 140 940 ლარი;

1.3. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტი – 249 480 ლარი, საშტატო ერთეული – 70, წლიური სახელფასო ფონდი – 229 920 ლარი;

1.4. კვების მრეწველობის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 86 580 ლარი, საშტატო ერთეული – 37, წლიური სახელფასო ფონდი – 70 260 ლარი;

1.5. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტი – 18 540 ლარი, საშტატო ერთეული – 15,5, წლიური სახელფასო ფონდი – 18 540 ლარი;

1.6. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 151 830 ლარი, საშტატო ერთეული – 61, წლიური სახელფასო ფონდი – 120 780 ლარი;

1.7. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 74 340 ლარი, საშტატო ერთეული – 20, წლიური სახელფასო ფონდი – 67 020 ლარი;

1.8. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 215 460 ლარი, საშტატო ერთეული – 68, წლიური სახელფასო ფონდი – 207 600 ლარი;

1.9. ინსტიტუტ „ტალღას“ ბიუჯეტი – 39 324 ლარი, საშტატო ერთეული – 11,5, წლიური სახელფასო ფონდი – 39 324 ლარი;

1.10. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტი – 77 670 ლარი, საშტატო ერთეული – 21,5, წლიური სახელფასო ფონდი – 71 700 ლარი;

1.11. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ბიუჯეტი – 89 190 ლარი, საშტატო ერთეული – 32, წლიური სახელფასო ფონდი – 76 644 ლარი;

1.12. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ბიუჯეტი – 49 860 ლარი, საშტატო ერთეული – 16, წლიური სახელფასო ფონდი – 39 636 ლარი.

აღნიშნული ინსტიტუტების საშტატო განრიგები ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან.

2. დამტკიცდეს სტუ-ში უცხოეთიდან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარის მოცულობით;

3. დამტკიცდეს კალათბურთის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 000 ლარის მოცულობით;

4. დამტკიცდეს სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ქ. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 135 000 ლარის მოცულობით;

5. საქართველის მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №410 დადგენილების მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ლიკვიდაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმონაცვლედ გამოცხადებასთან დაკავშირებით (ამავე დადგენილების მე-5 პუნქტი), სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტისა და სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 421 000 ლარით.

6. დამტკიცდეს სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგი 63 საშტატო ერთეულით და წლიური სახელფასო ფონდი განისაზღვროს 331 980 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი გაიზარდოს 3 466 280 ლარით, აქედან 3 045 280 ლარით – საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო 421 000 ლარით – საკუთარი შემოსავლებიდან.

**წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №21 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

*წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:*

*1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდეს და საშტატო ერთეულები განისაზღვროს:*

*1.1. ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 394 830 ლარი, საშტატო ერთეული – 175, წლიური სახელფასო ფონდი – 360 120 ლარი;*

*1.2. ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 163 170 ლარი, საშტატო ერთეული – 62, წლიური სახელფასო ფონდი – 140 940 ლარი;*

13. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტი – 249 480 ლარი, საშტატო ერთეული – 70, წლიური სახელფასო ფონდი – 229 920 ლარი;

14. კვების მრეწველობის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 86 580 ლარი, საშტატო ერთეული – 37, წლიური სახელფასო ფონდი – 70 260 ლარი;

15. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტი – 18 540 ლარი, საშტატო ერთეული – 15,5, წლიური სახელფასო ფონდი – 18 540 ლარი;

16. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 151 830 ლარი, საშტატო ერთეული – 61, წლიური სახელფასო ფონდი – 120 780 ლარი;

17. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 74 340 ლარი, საშტატო ერთეული – 20, წლიური სახელფასო ფონდი – 67 020 ლარი;

18. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი – 215 460 ლარი, საშტატო ერთეული – 68, წლიური სახელფასო ფონდი – 207 600 ლარი;

19. ინსტიტუტ „ტალღას“ ბიუჯეტი – 39 324 ლარი, საშტატო ერთეული – 11,5, წლიური სახელფასო ფონდი – 39 324 ლარი;

1.10. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტი – 77 670 ლარი, საშტატო ერთეული – 21,5, წლიური სახელფასო ფონდი – 71 700 ლარი;

1.11. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ ბიუჯეტი – 89 190 ლარი, საშტატო ერთეული – 32, წლიური სახელფასო ფონდი – 76 644 ლარი;

1.12. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ბიუჯეტი – 49 860 ლარი, საშტატო ერთეული – 16, წლიური სახელფასო ფონდი – 39 636 ლარი.

აღნიშნული ინსტიტუტების საშტატო განრიგები ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან.

2. დამტკიცდეს სტუ-ში უცხოეთიდან მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 000 000 ლარის მოცულობით;

3. დამტკიცდეს კალათბურთის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 000 ლარის მოცულობით;

4. დამტკიცდეს სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ქ. ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 135 000 ლარის მოცულობით;

5. საქართველის მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №410 დადგენილების მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე შპს „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯის“ ლიკვიდაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმონაცვლედ გამოცხადებასთან დაკავშირებით (ამავე დადგენილების მე-5 პუნქტი), სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტისა და სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 421 000 ლარით

6. დამტკიცდეს სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგი 63 საშტატო ერთეულით და წლიური სახელფასო ფონდი განისაზღვროს 331 980 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი გაიზარდოს 3 466 280 ლარით, აქედან 3 045 280 ლარით – საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო 421 000 ლარით – საკუთარი შემოსავლებიდან.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახიკოძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახიკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი